MES 4 20 00446522

08/06/2020

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 25.05.2020
სხდომის დაწყების დრო: 14:00 სთ
სხდომის დასრულების დრო: 15:30 სთ
საბჭოს თავმჯდომარე: ირაკლი ბურდული
საბჭოს მდივანი: ნიკა თიკანაშვილი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **ირაკლი ბურდული** - სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, პროფესორი-საბჭოს თავმჯდომარე;

2. **დიმიტრი გეგენავა -** შპს „სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის" აფილირებული ასოცირებული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

3. **ნიკოლოზ კიკნაძე** - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის" სადოქტორო პროგრამის სტუდენტი-საბჭოს მდივანი;

4. **მანანა კველიშვილი** - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;

5. **ნინო დობორჯგინიძე** - სსიპ-ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე;

6. **თამარ ტუფინაშვილი** - შპს „საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის" ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

7. გურანდა ჭელიძე - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ აფილირებული პროფესორი;

8. პაატა ბრეკაშვილი - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ აფილირებული პროფესორი, ამავე უნივერსიტეტის სადოქტორო სკოლის დეკანი;

9. ეკა ეკალაძე - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის დირექტორი, ამავე უნივერსიტეტის ბიოქიმიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;

10. გიორგი თურქია - ა(ა)იპ საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (GIPA) პროფესორი, ბიზნესის მიმართულების ხელმძღვანელი;

11. ირმა წერეთელი - გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მრჩეველი;

12. ნიკა თიკანაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის საერთაშორისო ურთიერთობების ხელმძღვანელი;

სხდომაზე დამსწრე პირები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	სოფიკო ქურასბედიანი	უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი
2	მარიამ გრიგალაშვილი	უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი
4	ქეთევან თელია	უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	სტატუსი	საკითხი
1	ანანო სამსონაძე	სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი	ხარიხის სამსახურის ხელმძღვანელი	I
2	ნატო გენგიური	სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი	ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის ხელმძღვანელი	I
3	თამარ ვეფხვაძე	სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი	ხარისხის სამსახურის კონსულტანტი	I

4	დოდო ჭუმბურიძე	სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი	აკადემიური პერსონალი	I
5	გიორგი ფხაკაძე	სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი	დეკანის მოადგილე	I

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ ირაკლი ბურდულმა.

საბჭოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, საბჭოს მდივნის ფუნქციის შესრულება დაეკისრა საბჭოს წევრს ნიკა თიკანაშვილს.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის „ხელოვნების მენეჯმენტის“ სამაგისტრო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
2. შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის „სამართლის“ სამაგისტრო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
3. შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის „მედიის კვლევები და მულტიმედია წარმოების“ სამაგისტრო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
4. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ სადოქტორო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში;
5. შპს პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის „სამკურნალო საქმის“ ერთსაფეხურიანი სამედიცინო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
6. შპს პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის „მედიცინის“ (ინგლისურენოვანი) ერთსაფეხურიანი სამედიცინო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარის განმარტებით, მე-5 და მე-6 საკითხის განხილვა უნდა გადადებულიყო საბჭოს მოწვეული წევრების კვორუმის არ არსებობის გამო.

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის „ხელოვნების მენეჯმენტის“ სამაგისტრო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
2. შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის „სამართლის“ სამაგისტრო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
3. შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის „მედიის კვლევები და მულტიმედია წარმოების“ სამაგისტრო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

1. პირველი საკითხი: სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის „ხელოვნების მენეჯმენტის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ხელოვნების მენეჯმენტი
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტირებული
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა	2018 წლის 28 ნოემბრის N168
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	სამაგისტრო
7	კვალიფიკაციის დასახელება	მენეჯმენტის მაგისტრი
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
9	სწავლების ენა	ქართული
10	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
11	განხორციელების ადგილი	საქართველო, ქ. თბილისი, 0106, რუსთაველის 19
12	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

დაწესებულებას დაევალა შემდეგი რეკომენდაციების შესრულება:

- რეკომენდებულია გააქტიურდეს შედეგების შეფასების მექანიზმების გამოყენება პროგრამის გაუმჯობესების პროცესში;
- ეკომენდებული პროგრამაზე დაშვების წინაპირობად უცხო ენის კომპონენტად განისაზღვროს ინგლისური ენა;
- რეკომენდებულია სასწავლო კურსების კულტურის მენეჯმენტი“, პედაგოგიკა 1 და 2 წინაპირობების დაზუსტება;
- რეკომენდებულია დაკონკრეტდეს საკვალიფიკაციო ნაშრომის შესრულების წინაპირობები და მის წინაპირობად განისაზღროს პროგრამის ის სავალდებულო დისციპლინები, რომლებიც აუცილებლად უნდა ქონდეს ათვისებული მაგისტრანეს სამაგისტრო ნაშრომის დაცვის მომენტისათვის;

- რეკომენდირებულია დამოუკიდებელი სილაბუსის სახით გადაწეროს პროგრამის სტრუქტურაში მოცემული ,,საჩვენებელი ლექცია პრეზენტაცია“, რომელიც გათვლილია 10 კრედიტზე;
- რეკომენდებულია პროგრამის სავალდებულო დისციპლინების მოდული გაძლიერდეს მარკეტინგის, მენეჯმენტის, ლოჯისტიკის მენეჯმენტის და HR სტრატეგიების სასწავლო კურსები, რაც ხელს შეუწყობს პროგრამის მიზნების უკეთ მიღწევას;
- რეკომენდებულია სასწავლო კურსები პედაგოგიკა I და II ჩამოყალიბდეს ერთ სასწავლო კურსად;
- რეკომენდებულია სასწავლო კურსებში: სტრატეგიული მენეჯმენტი და კომერციულ და არაკომერციულ ორგანიზაციათა მენეჯმენტი განხორციელდეს სწავლის შედეგების მორგება სასწავლო კურსების შინაარსთან;
- რეკომენდებულია სასწავლო კურსების: ბიზნესის ადმინისტრირება, პროექტებისა და პროგრამების მართვა, მარკეტინგი კულტურაში და კომუნიკაცია და ფინანსური მენეჯმენტი მიზნები, სწავლის შედეგები და შინაარსი გაიმიჯნოს საბაკალავრო საფეხურის ანალოგიური შინაარსის კურსებისაგან, ასევე განახლდეს მოცემულ კურსებში გამოყენებული სავალდებულო ლიტერატურა თანამედროვე ინგლისურენოვანი ლიტერატურით;
- რეკომენდებულია სასწავლო კურსის ,,საგანმანთლებლო კანონმდებლობა“ სახელწოდება დაკორექტირდეს როგორც „კულტურის სფეროს და კულტურის ძეგლების სამართლებრივი რეგულირება“ მოხდეს მისი შინაარსის მორგება ახალ დასახელებასთან;
- რეკომენდებულია აქტიურად იყოს გამოყენებულ დაწესებულების შიდა რესურსი და გამყარდეს ფაკულტეტებს შორის ინტეგრაცია პრაქტიკული კომპონენტის განbk"არცველების პროცესში;
- რეკომენდებულია სწავლება/სწავლის მეთოდოლოგიის გამრავალფეროვნება და მისი მეტი ადაპტირება სასწავლო კურსებთან;
- რეკომენდებულია დაწესებულებამ უზრუნველყოს პროგრამის შინაარსთან ბმაში მყოფი დარგის ექსპერტების მოწვევა საჯარო ლექციების ვორქშოპების და ტრენინგების ჩატარების მიზნით;
- რეკომენდებულია დაწესებულებამ უჯრუნველყოს სტუდენტებისა და კურსადმთავრებულების კარიერული განვითარების მხარდამჭერი სტრუქტურული ერთეულის შექმნა, რათა უზრუნველყოფილ იქნეს სხვადასხვა მხარდამჭერი აქტივობების ეფექტური განხორციელება;
- რეკომენდებულია ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით მუშაობის გაძლიერება, პარტნიორების მოძიება, სტუდენტების და პროფესორ-მასწავლებლების ერთობლივ აქტივობებში ჩართულობის უზრუნველყოფა;
- რეკომენდებულია მკაცრად იქნეს გაკონტროლებული სამაგისტრო ნაშრომებში ვიკიპედიის წყაროების გამოყენების შემთხვევები;
- რეკომენდებულია დაწესებულებამ გრელვადიან პერიოდში კიდევ უფრო გაზარდოს მენეჯმენტის მიმართულების აფილირებული პერსონალის რაოდენობა;
- რეკომენდებულია პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის საერთაშორისო მობილობაში მონაწილეობის პროცესების გააქტიურებას;
- რეკომენდებულია დაწესებულებამ უზრუნველყოს აკადემიური პერსონალის მეტი ჩართულობა შიდა ხარისხის დოკუმენტებისა და შეფასების მექანიზმების შემუშავებაში;

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა, მადლობა გადაუხადა საბჭოს წევრებს სხდომაში მონაწილეობისთვის, მან ხაზი გაუსვა პროგრამის მნიშვნელობას, სფეროში კვალიფიკაციის პრობლემებს. მან განმარტა, რომ საბჭოს მიერ საკმაოდ ბევრი რეკომენდაცია მიიღეს, რაც მნიშვნელოვანი იყო მათთვის.

პროგრამაში ბევრი შენიშვნა და რჩევა გათვალისწინებული და შესაბამისობაში მოყვანილია, რაც სფეროს განვითარებას და კომპეტენციას შეესაბამება. დაწესებულების წარმომადგენელმა რიგითობის მიხედვით ისაუბრა გაცემული და შესრულებული რეკომენდაციების შესახებ.

პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რაც გულისხმობდა, რომ რეკომენდებულია გააქტიურდეს შედეგების შეფასების მექანიზმების გამოყენება პროგრამის გაუმჯობესების პროცესში, აღინიშნა, რომ რეკომენდაცია ნაწილობრივ გათვალისწინებული იყო. დაწესებულებაში უკვე ეს პროცესი დაწყებული იყო. შედეგების გამოყენების მაჩვენებელიც შეიცვალა. მიმდინარე წელს განვითარდა სწავლის შედეგების შეფასების სისტემა, რაც სრულად მოერგო პროგრამის მიზანსა და მისიას.

მეორე და მესამე რეკომენდაციებთან დაკავშირებით, რომლებიც ეხებოდა წინაპირობებს აღინიშნა, რომ კულტურის მენეჯმენტში არ დაზუსტებულა წინაპირობა, იმ გარემოებიდან გამომდინარე, რომ არ საჭიროებდა. ხოლო საგნებზე პედაგოკია 1 და 2 რეკომენდაცია გაზიარებულია და ეს ორი საგანი გაერთიანდა.

მეოთხე რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა წინაპირობების დაკონკრეტებას, დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ რეკომენდაცია გარკვეულ უზუსტობას მოიცავდა, რადგან მაგისტრანტი ისე ვერ დაიცავს ნაშრომს თუ ყველა კრედიტი არ ჰქონდა ათვისებული, სხვანაირად დაცვაზე ვერც წარდგება. თუმცა მეტი ინფორმირებულობისთვის პროგრამაში ჩაემატა მუხლი სადაც საკვალიფიკაციო ნაშრომი დეტალურად არის განმარტებული.

შემდეგ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომელიც გულისხმობდა დამოუკიდებელი სილაბუსის სახით გაწერას, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სრულად გაიზიარეს რეკომენდაცია, ამ საკითხზე იმსჯელეს ფაკულტეტის მიმართულებაზეც, თუმცა პრაქტიკით ჩაანაცვლეს სილაბუსი. შემდეგ სემესტრში ორი მიმდინარე მაგისტრანტი პირველები იქნებიან პრაქტიკის მიმღებებები. სამივე ორგანიზაცია, პრაქტიკის გავლის კუთხით ვისთანაც აქვთ მემორანდუმები კულტურის სფეროში მოღვაწე ორგანიზაციებია.

მე-6 რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომელიც შეეხებოდა სავალდებულო დისციპლინების მოდულის გაძლიერებას სრულად იქნა გაზიარებული. შეიცვალა და განახლდა სილაბუსები და რესურსები.

სალექციო თემატიკა გამრავალფეროვნდა, სასწავლო კურსის მიზნები და ლიტერატურა შეესაბამება პროგრამის მიზნებს. ადამიანური რესურსების, მარკეტინგის და კიმუნიკაციის სილაბუსები განახლებულად არის წარმოდგენილი.

რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომელიც მოითხოვდა დაზუსტებულიყო შინაარსი და სწავლის შედეგები აღინიშნა, რომ სრულად იქნა გათვალისიწნებული და წარმოდგენილია მოდერნიზებული ვერსიები.

რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომელიც მოითხოვდა დაკორექტირებას სამართლებრივი რეგულირების და მის შინაარსთან მორგებას აღინიშნა, რომ განხორციელდა ცვლილებები და კურსების ბადეს დაემატა ახალი კურსი კულტურის სფეროს სამართლებრივ რეგულირებასთან დაკავშირებით. სადაც ზუსტად ის რეგულაციებია რაც კულტურის სფეროს ეხება. ორ საგანს ვერ გააერთიანებდნენ, შეუძლებელი იქნებოდა. საკმაოდ დიდი სამართლებრივი ჩარჩოა განსაკუთრებით მაშინ, როცა 2019 წელს დაიწყო კულტურის კოდექსზე მუშაობა. შესაბამისად რეკომენდაცია გათვალისწინებულია და პროგრამას დაემატა სრულად ახალი სილაბუსი.

სამეცნიერო კვლევითი მიმართულებასთან დაკავშირებულ რეკომენდაციას რაც შეეხება, ღიად მიიღეს ეს რეკომენდაცია, სრულად გაიზიარეს და მენეჯერების აქტიური ჩართვა გახდა საჭირო სხვადასხვა ღონისძიებებში. გაძლიერდა პრაქტიკული სილაბუსი, რაც გააუმჯობესებს მაგისტრანტების ჩართვას პრაქტიკულ კომპონენტებში. მომზადდა მემორანდუმი თბილისის სამუზეუმო გაერთიანებასთან და მზად არიან მიიღონ მაგისტრანტები.

საქართველოში ცოტაა დარგობრივი ექსპერტი, თუმცა სტუმრის სტატუსით რამენიმე ლექცია მოასწრეს, თუმცა ეს დეკემბრის შუა რიცხვებამდე ხდებოდა და უკვე საკარანტინო რეჟიმი დაიწყო. მოლაპარაკებები განახლებულია და ონლაინ რეჟიმზე კიდევ უფრო გამარტივებული იქნება ვირტუალური ფორუმებით, მასტერკლასების ჩატარება. შესაბამისად ეს რეკომენდაციაც შესრულდა და მიმდინარეობს.
ინტერნაციიონალიზაციის კუთხით რეკომენდაცია გასაზიარებელია, დაწყებულია მუშაობა, დაიწყეს კომუნიკაციების დამყარება პარტნიორ უნივერსიტეტებთან.
კარიერული დასაქმების თვალსაზრისით გარე პროექტებში ჩართვაზე რეკომენდაციები გაეწევათ და ისეთ აქტივობებში, როგორიც არის კინო გადაღებები, სხვადასხვა ფესტივალების მოწყობა ჩაერთვებიან როგორც მენეჯმენტის საფეხურზე მყოფი პირები, ისე პრაქტიკული აქტივობების კუთხით სტუდენტები. სტუდენტებიც და აკადემიური პერსონალიც აქტიურადაა ჩართული სხვადასხვა ღონისძიებაში მონაწილეობაში, როგორიც არის, კონფერენციები, ტრენინგების დიდი სერია.
სამაგისტრო წყაროებზე "ვიკიპედიის" გამოუყენებლობასთან დაკავშირებულ რეკომენდაციაზე დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ სრულადაა გაზიარებული რეკომენდაცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ეს იყო ძირითადად რეკომენდაციებთან დაკავშირებით რისი აღნიშვნაც უნდოდათ, შესასრულებელ რჩევებს რაც შეეხება ნაწილი გაიზიარეს, რომლებიც ეხებოდა ვეგბვერდის “ინტერფისს”, სტუდენტებთან კომუნიკაციას, გვერდი სრულყოფილად მუშაობს, ეს შედეგი გამოჩნდა “ონლაინ” სწავლებაზე გადასვლის დროსაც, როცა სრულად იქნა ელექტრონული სისტემის ათვისება შესაძლებელი.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ კითხვები.
საბჭოს წევრი, პაატა ბრეკაშვილი მიესალმა დაწესებულების წარმომადგენლებს, მადლობა გადაუხადა წარმოდგენილი ანგარიშისთვის. მიუთითა 2018 წელს ჩატარებულ საბჭოზე პროგრამასთან დაკავშირებით, რომ მისთვის ნაცნობი იყო ეს პროგრამა და მაშინაც და ახლაც თითქმის მსგავსი კომენტარები აქვს. მან განმარტა, რომ პროგრამა სტუდენტს კვალიფიკაციას ანიჭებს მენეჯმენტში. რეალობა კი ის არის, რომ ბიზნესის კონცენტრაციის საგნები რაც პროგრამაშია უნდა მოიცავდეს მენეჯმენტის მიმართულებას. მან როგორც განმარტა, რასაც გადახედა კურიკულუმში თითქმის არ შეცვლილა, თუმცა ანგარიშში ფიქსირდება, რომ გათვალისწინებულია. მაგალითად, ადამიანური რესურსები კულტურის სფეროში, კომუნიკაცია, ისევ ისეა ყველაფერი. საბჭოს წევრმა დამაზუსტებლად იკითხა დაწესებულების წარმომადგენლებთან ნამდვილად ასეა თუ არა.
დაწესებულების წარმომადგენელმა გაიხსენა 2018 წლის საბჭო და განმარტა, რომ აღნიშნული პროგრამა საბაკალავრო პროგრამასთან ერთად გადიოდა, საბაკალავრო დონეზე კანონმდებლობის შეზღუდვიდან გამომდინარე არ შეეძლოთ განევითარებინათ ესე ვიწრო სპეციალიზაცია ხელოვნების მენეჯმენტი, რაც შეეხება სამაგისტრო დონეს აქ აქვთ შესაძლებლობა წავიდნენ იმ პოროფილის მეშვეობით რასაც დაწესებულება მიყვება და რა დეფიციტიცაა კულტურის სფეროს მენეჯმენტი, რომ განავითარონ. შესაბამისად, მათი მიზანი არაა ზოგად მენეჯმენტში ხარისხის მინიჭება.
საბჭოს წევრმა პაატა პრეკაშვილმა დააზუსტა, რომ გაახსენდა და ახლა უკვე გასაგებია მისი კითხვის პირველ ნაწილთან დაკავშირებით პასუხი. მან ჰკითხა დაწესებულების წარმომადგენლებს უკვე მეორე ნაწილთან დაკავშირებით დარგების მიხედვით რამდენად სწორად იყო საგნები ჩაშლილი. მან განმარტა, რომ მაგალითად ადამიანური რესურსების მართვა ხელოვნებაში ან მედიცინაში ესე ცალკე არ არსებობს, ლიტერატურაც და შინაარსიც სილაბუსების მიხედვით არის ტიპური ადამიანური რესურსების მართვის ლიტერატურა. ასევე აღნიშნულია ლიდერობა და კომუნიკაცია ამ დარგში და დარგი ასე არ იყოფა. საბჭოს წევრმა იკითხა ამაზე რა კომენტარის გაკეთება შეეძლო დაწესებულებას.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ეს საკმაოდ ფართო და სადისკუსიო თემაა, აქ არის კულტურის სფეროში ჩართული პირების თავისებურება, კულტურის სფეროში პროცესები მაინც მიდის განსხვავებული წესით, რაც შემოქმედებითი რესურსის მართვასაც გულისხმობს.

კურსი ამ მიმართულებითაა თუ ადამიანური რესურსებს კულტურის სფეროში რა თავისებურებებია. ძალიან მნიშვნელოვანია დარგობრივი კომპეტენცია და შედეგი.
საბჭოს წევრმა პაატა ბრეკაშვილმა განმარტა, რომ ესმის, რომ განსხვავებულია, მაგრამ ადამიანის მართვა არ მოიცავს დარგობრივ ნაწილს, სილაბუსებს ჩახედა ლიტერატურა რაც მითითებულია ზოგად "ეიჩარს" მოიცავს. ადმაიანის ფსიქო-სოციალური მართვა კულტურის მენეჯერია თუ სხვა სფერო არ აქვს მნიშვნელობა და სილაბუსიც არ აძლევს ამის საშუალებას. ასევე მან აღნიშნა, რომ დარგობრივი საგნები აქვს პროგრამას და ამ საგნებს ერქვას ის რაც რეალურად არის უფრო მიზანშეწონილია. მითითებული ლიტერატურა ვერ იძლევა საშუალებას კურსის სათაურთან სრულად შესაბამისობაში იყოს. ესმის რასაც უთითებს დაწესებულება, მაგრამ განმარტა, რომ თვითონ ამ დარგის წარმომაგდენელია და არ არსებობს "ეიჩარი" კულტურის მიმართულებით, ფიზიკაში ან ქიმიაში, სფეციფიკა აქვს, მაგრამ ეს არ არის ზოგადად ადამიანის მართვა.
დაწესებულების წარმომადგენელმა იკითხა ხომ არ შეუძლია საბჭოს წევრს მიუთითოს კონკრეტულად რა ტიპის ლიტერატურის დამატებას გულისხმობს.
საბჭოს წევრმა პაატა ბრეკაშვილმა განმარტა, რომ არსებული ლიტერატურის განახლება უნდა მოხდეს ასევე, არის კლასგარეშე საკითხავები მითითებული, რაც შეიძლება ამოღებული იყოს და უფრო აკადემიურად ძლიერი ლიტერატურით გამდიდრდეს. რაც შეეხება დარგობრივ ლიტერატურაზე მითითებას ის ამას ვერ მიუთითებს დაწესებულებას, უბრალოდ აქცენტი იმაზეა გადატანილი, რომ კურსის სათაურსა და მითითებულ ლიტერატურას შორის არაა სრულყოფილი კავშირი.
საბჭოს წევრმა ნინო დობორჯგინიძემ იკითხა სამაგისტრო ნაშრომთან დაკავშირებით. ხომ არ ფიქრობს დაწესებულება, რომ რეკომენდაცია არ ეხებოდა მხოლოდ შეფასების სისტემის განახლებას და ზოგადად კვლევის კომპონენტის მიმართულებით გაძლიერება იყო მიზანი.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ მთლიანად შეიცვალა არა მარტო შეფასების სისტემა, ასევე სამაგისტრო ნაშრომის არქიტექტურა და სრულად იქნა გაზიარებული რეკომენდაცია არამარტო შეფასების თვალსაზრისით.
საბჭოს წევრმა დააზუსტა, რომ აღნიშნული ვერ ნახა წარმოდგენილ დოკუმენტებში და ამიტომ გაუჩნდა კითხვა.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ დოკუმენტები წარმოდგენილია რეკომენდაციების შესაბამისად და ზოგადი დოკუმენტები საჭიროების არ არსებობის გამო აღარ წარმოუდგენიათ.
საბჭოს წევრმა ნიკოლოზ კიკნაძემ იკითხა რჩევასთან დაკავშირებით, სადაც მითითებულია, რომ მიღების წინაპირობად განისაზღვროს ბაკალავრი ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით. დაწესებულებას უწერია, რომ ეს რჩევა გაითვალისწინეს, თუმცა პროგრმაში წინაპირობად წერია, რომ სასურველია იყოს ბიზნესის ადმინისტრების მაგისტრი. მან კითხვა დაუსვა დაწესებულების წარმომადგენლებს თუ როგორ აბალანსებენ იმ საკითხების არ ცოდნას თუ სხვა კვალიფიკაციის მაგისტრანტი სტუდენტი ჩაირიცხა პროგრამაზე.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ პროგრამაზე ჩარცხვის საკითხი წყდება შიდა გამოცდის და გასაუბრების გზითაც. პროფესიული შიდა გამოცდა ამოწმებს პირის ცოდნას პროფესიული კუთხით და ასევე მათ აქვთ საშუალება გაითვალისწინონ სტუდენტების პრაქტიკული გამოცდილება. მაგალითად ამ პროგრამაზე ჩარიცხეს სამართალმცოდნე ბაკალავრიატით, რომელსაც ჰქონდა 6 წლიანი პრაქტიკული მუშაობის გამოცდილება ამ სფეროში. მათ ასევე აღნიშნეს, რომ ეს მიმართულება მსოფლიოშიც ახალია და ჯერ კიდევ ფორმირების პროცესშია. დარგი კი იმის საშუალებას იძლევა, რომ პროფესიული პრაქტიკული გამოცდილების მიხედვით შეფასდეს ის ცოდნა და გამოცდილება რაც პროგრამის შედეგს და დაძლევას გულისხმობს.

საბჭოზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საგანმანათლებლო პროგრამაზე მონიტორინგის განხორციელების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
მოწინააღმდეგე - 0

აკრედიტაციის დებულების 27[6] მუხლის 2[11] პუნქტის, 31 მუხლის საფუძველზე, საბჭომ პროგრამაზე წარმოდგენილ ანგარიშთან დაკავშირებით მიზანშეწონილად მიიჩნია აკრედიტაციის პირობების შესრულების მიზნით, მონიტორინგის დანიშვნა ანგარიშის განხილვიდან 1 წლის ვადაში, 2021 წლის 5 ივნისისთვის.

2. მეორე საკითხი: შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის „კერძო სამართლის“ სამაგისტრო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	კერძო სამართალი
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტირებული
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა	2019 წლის 23 ივლისის N170
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	სამაგისტრო
7	კვალიფიკაციის დასახელება	სამართლის მაგისტრი კერძო სამართალში
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
9	სწავლების ენა	ქართული
10	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
11	განხორციელების ადგილი	საქართველო, ქ. თბილისი, 0101, სამღერეთის ქუჩა N5
12	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

დაწესებულებას დაევალა შემდეგი რეკომენდაციების შესრულება:

- პროგრამის განვითარებისთვის აუცილებელია უსდ-მა სხვადასხვა მიმართულებები გააძლიეროს. მაგალითად, აუცილებელია დაიხვეწოს პროგრამის მიზნებისა და შედეგების ურთიერთკავშირი და შედეგები გახდეს უფრო მიღწევადი და რეალისტური, დაკონკრეტდეს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა;
- სასურველია, დაკონკრეტდეს, ბაზირებულ იქნეს სამართლის დარგობრივ მახასიათებელზე და ისე იქნეს გაწერილი კერძო სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები;
- სასურველია, დაკონკრეტდეს უცხო ენათა ჩამონათვალი, განისაზღვროს B2 დონის სერტიფიკატების ჩამონათვალი, რომელიც პირს ათავისუფლებას გამოცდის ჩაბარებისაგან

და გაიწეროს ის პროცედურა, რომლის მიხედვითაც უნდა მოხდეს პირის უცხო ენის გამოცდისაგან გათავისუფლება;

- პროგრამაზე დაშვების წინაპირობები უნდა დაკონკრეტდეს, იყოს ხელმისაწვდომი და უნდა პასუხობდეს პროგრამის შინაარსის დაძლევისათვის საჭირო კრიტერიუმებს;
- სასწავლო კურსის პროგრამა (სილაბუსი), სასურველია, გაწერილ იქნეს მხოლოდ სასწავლო კომპონენტების მიმართ და არა სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის მიმართ;
- რამდენიმე სასწავლო კურსი მოითხოვს იმგვარად მოდიფიცირებას, რომ ის შესაბამისობაში მოვიდეს მაგისტრატურის საფეხურის დონესთან. მაგალითად, სასწავლო კურსი „მოთხოვნის უზრუნველყოფის სანივთო და ვალდებულებით-სამართლებრივი საშუალებები"თავისი შინაარსით, არის ბაკალავრიატის დონის, რომელიც სანივთო და ვალდებულებითი სამართლის ნაწილში უნდა იქნეს შესწავლილი. თუმცა, მაგისტრატურის მოცემული პროგრამის შინაარსიდან გამომდინარე, რომელიც ითვალისწინებს ორ ისეთ საგანს, როგორიც შედარებითი ვალდებულებითი სამართალი და შედარებითი სანივთო სამართალი, აბსოლუტურად თავისუფლად შეიძლებოდა მოთხოვნის უზრუნველყოფის სანივთო და ვალდებულებით სამართლებრივი საშუალებების ინტეგრირება, შესაბამის კურსებში და მისი შედარებით კონტექსტში შესწავლა. ასევე, სასწავლო კურსი „ვადები და მათი მნიშვნელობა კერძო სამართალში“ არსებითად მოითხოვს დახვეწას როგორც საგანანმანათლებლო საფეხურის დონის მიხედვით (ის ბაკალავრიატის დონეზე ისედაც ისწავლება (ინტეგრირებულია კერძოსამართლებრივ სასწავლო კურსებში), ისე შინაარსობრივი თემატიკის მიხედვით: აქ, სასურველია, იყოს უფრო შედარებითი კურსი წარმოდგენილი: შედარებითი საკორპორაციო სამართლის სილაბუსი არის გასაახლებელი;
- აუცილებელია, სასწავლო უნივერსიტეტმა განსაზღვროს სტრატეგია, რომლის მიხედვითაც უფრო მეტი აკადემიური/მოწვეული პერსონალი მიიღებს საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში მონაწილეობას და აღნიშნულ აქტივობებს ექნება სისტემატიური ნასიათი; ამისათვის და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განხორციელების ხელის შესაწყობად აუცილებელია სასწავლო უნივერსიტეტმა, გამოყოს შესაბამისი ბიუჯეტი და შიდასამართლებრივი აქტებით განსაზღვროს აფილირებული პერსონალისთვის ანაზღაურებადი აქტივობების ჩამონათვალი ამასთან ამ აქტივობათა განხორციელებისათვის საჭირო დროის პირობითი სამიზნე ნიშნულები წლის მიხედვით;
- აუცილებელია თვითშეფასების ანგარიშის შედგენის დრო იკვეთებოდეს სუსტი მხარეები, ის ხდებოდეს მსჯელობის საგანი სამომავლო გაუმჯობესების მიზნით. მოცემული პროცესი უნდა აისახოს თვითშეფასების ანგარიშში შეძლებისდაგვარად ზუსტად;

საბჭოზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
მოწინააღმდეგე - 0

აკრედიტაციის დებულების 27[6] მუხლის მე - 2 პუნქტის საფუძველზე საბჭოს მიერ პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

3. მესამე საკითხი: შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის „მედიის კვლევები და მულტიმედია წარმოების“ სამაგისტრო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	

		მედიის კვლევები და მულტიმედია წარმოება
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტირებული
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა	2019 წლის 11 ივლისის N165
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	სამაგისტრო
7	კვალიფიკაციის დასახელება	სოციალური მეცნიერებების მაგისტრი მედიის კვლევებში
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
9	სწავლების ენა	ქართული
10	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
11	განხორციელების ადგილი	საქართველო, ქ. თბილისი, 0141, ჩარგლის ქუჩა N73
12	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- კი

თვითაცილება განაცხადა ნიკოლოზ კიკნაძემ.
თვითაცილების საფუძველი: დაწესებულებასთან ხელშეკრულების არსებობა.

დაწესებულებას დაევალა შემდეგი რეკომენდაციების შესრულება:

- „პროგრამის კურიკულუმს დაემატოს სასწავლო კურსი - სოციოლოგიურ მონაცემთა დამუშავება და ანალიზი, ან / დამოუკიდებელი პრაქტიკის კურსში აისახოს სოციოლოგიურ მონაცემთა დამუშავებისა და ანალიზისთვის აუცილებელი პროფესიული უნარების გამომუშავება“;
- „სასწავლო კურსის „ლოკალური მედიის ტენდენციები“ სწავლება განისაზღვროს მესამე სემესტრში, წინაპირობად მიეთითოს „მედიის კვლევების ფორმები და ტექნოლოგიები“;
- „შეიცვალოს და განახლდეს ლიტერატურა სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსებში: „ლოკალური მედიის ტენდენციები“ და „კომუნიკაციის აუდიოვიზუალური ფორმები 1 (აუდიო კონტენტის წარმოება)“;

- „პრაქტიკის დამოუკიდებელი კურსი გაძლიერდეს მედიამკვლევრისთვის საჭირო პროფესიული უნარების გამომუშავების კუთხით“;
- „გააქტიურდეს პროგრამის აკადემიური / მოწვეული პერსონალის ჩართვა სამეცნიერო კვლევით პროექტებში, მითუმეტეს, რომ უნივერსიტეტი ამის სრულ შესაძლებლობას იძლევა“.

საბჭოზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 11
მოწინააღმდეგე - 0

აკრედიტაციის დებულების 27[6] მუხლის მე - 2 პუნქტის საფუძველზე, საბჭოს მიერ პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბურდული ირაკლი



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
სხდომის მდივანი
თიკანაშვილი ნიკა